საქართველოს მთავრობის

დადგენილება №333

2022 წლის 24 ივნისი

ქ. თბილისი

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/05/2019, 300310000.10.003.021272) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების“ მე-10 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 10^1 მუხლი:

„მუხლი 10^1. შენობა-ნაგებობის განთავსების აკრძალვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობის განთავსება საპროექტო ტერიტორიის იმ ნაწილზე, სადაც მწვანე ნარგავ(ებ)ის უნებართვო განადგურება განხორციელდა, დასაშვებია, თუ უნებართვოდ განადგურებულ მწვანე ნარგავ(ებ)ზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის პოლიტიკაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, კომპეტენციის ფარგლებში, ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე და კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღებდა გადაწყვეტილებას მოჭრაზე ან გადარგვაზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**